საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
(დედამიწის მეგობრები – საქართველო)

# გარემო და საზოგადოება

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პერიოდული გამოცემა, №3(15) 2011 წელი

# „დავასუფთაოთ მსოფლიო - დავასუფთაოთ საქართველო“

16–17–18 სექტემბერს, მთელ მსოფლიოში ჩატარდა დასუფთავების ყოველწლიური საერთაშორისო კამპანია – „დავასუფთაოთ მსოფლიო“ (Clean Up the World), რომელიც 1992 წელს დაფუძნდა გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ინიციატივით და ადგილობრივი გარემოს გაუმჯობესების მიზნით აერთიანებს მთელი რიგი ქვეყნების ხელისუფლებისა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ცალკეულ პირებს ფართომასშტაბიანი დასუფთავების აქციების განსახორციელებლად. მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე დასუფთავების კამპანიაში მონაწილეობა მიიღო 130-მდე ქვეყანამ. წელს კამპანია ჩატარდა დევიზით:

**ჩვენი ქვეყანა... ჩვენი პლანეტა... ჩვენი პასუხისმგებლობა**

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში „დავასუფთაოთ მსოფლიო - დავასუფთაოთ საქართველო“ კამპანია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე წარმატებით განხორციელდა. დასუფთავების აქციები ჩატარდა 58 მუნიციპალიტეტში, 5 თვითმმართველ ქალაქში და 3 დაბაში. მასში მონაწილეობდა 37 695 მოხალისე, დასუფთავდა 765 ჰა დაბინძურებული ტერიტორია, შეგროვდა და არსებულ ნაგავსაყრელებზე განთავსდა 1 205 $მ^3$ ნარჩენი. კამპანიაში აქტიურად მონაწილეობდნენ მოსწავლეები, სტუდენტები, სხვადასხვა ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორის, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის და გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.

2010 წლიდან დღემდე დასუფთავდა 1 488,12 ჰა ფართობი, შეგროვდა 2 646 $მ^3$ ნარჩენი და მონაწილეობა მიიღო 73 745 მოხალისემ.

კამპანია ტარდება პროექტის - „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმის – „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები/საქართველო და მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოხედვას“ მიერ, გარემოს დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური უზრუნველყოფით.

**საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო**
საქართველო, თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა №10ა
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: info@greens.ge; Web-გვერდი: www.greens.ge
გამოცემაზე მუშაობდნენ:
რუსუდან სიმონიძე, ლელა ყაჭეიშვილი, ავთანდილ გელაძე
რედაქტორი: **ლელა ყაჭეიშვილი**
დიზაინი: **ირაკლი გულედანი**

**პუბლიკაცია გამოიცა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, „ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის“ - WECF-თან თანამშრომლობით, „ადგილობრივი შესაძლებლობების შექმნა სოფლად, საოჯახო პირობებში გათბობის, ცხელი წყლისა და თბოიზოლაციის სისტემების დანერგვაზე“.**

**ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადებული ამ პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმცემელია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, მასში გამოთქმულ მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის მოსაზრებებად**